1 იანვარი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ,[ს],თ

(19.XII) წმმ. ღიხსი გიოხგი მწეხაღი და ძმა მისი საბა ხახუღეენი

2023

ᲨᲕᲘᲠᲐ

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

გაანდეს სიტყვა, ყრმისთვის რომ ეუწყა მათ ლკ 2,17

ანგელოზმა წყემსებს უთხრა: "გახარებთ დიდ სიხარულს... დღეს იშვა... მაცხოვარი, რომელიც ქრისტე უფალია!"
მათ კი, ეს ამბავი ყრმა იესოზე მზრუნველ მარიამს აუწყეს.
მარიამ, დედავ ღმრთისა და ყოველი კაცისაო, შენი მაგალითის შეწევნით გავხდებით ხალისიანი მოწმენი შენი კურთხეული ძისა – იესოსი!

2 იანვარი 2023

შობის ჟამი [ს], თ
წმ. ბასილ დიდი, +379, და
წმ. გრიგოლ ნაზიანზელი +390, ეპ. და მოძ. (მ)

ორშაბათი

1იო2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

მოუსწორეთ გზა უფალს იო 1,23

ესაია წინასწარმეტყველის ამ სიტყვებით გვიხმობს იოანე ნათლისმცემელი, რომ მყარად ვიაროთ უფლის გზაზე. რწმენა, თავმდაბლობა, მსახურება – აი უფლის გზა. დღეს, იესოს მიმართ თავიანთი სიყვარულის დიდებულ ნიმუშს გვთავაზობენ წმიდა ბასილი და წმიდა გრიგორი. სწორედ მათ მიერ გაკვალული გზაა უფლის გზა.

3 იანვარი

2023

შობის ჟამი [ს] თ

იესოს უწმიდესი სახელი
(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბაცი;

სამშაბათი

1იო 2,29–3,6; ფს 97; იო 1,29-34

ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი

იო 1,33

ამგვარად წარმოაჩენს
იოანე ნათლისმცემლი იესოს, როდესაც
მასზე თავის მოწაფეებს მიანიშნებს.
ჩვენც გვიხმობს, რომ დავრჩეთ ერთო-
ბაში აღმდგარ უფალთან,
ვინც სხვადასხვა ფორმით
იმყოფება თავის ეკლესიაში:
სიტყვით, ევქარისტიით,
მორწმუნეთა დასით...

4 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

2023 ოთხშაბათი

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

ამიერიდან შენ გერქმევა კეფა,
რაც ნიშნავს კლდეს იო 1,42

იესო ახალ სახელს უბოძებს ერთ თავის პირველ მოწაფეთაგანს; სახელი იმ მისიის მაუწყებელია, რასაც თავის ეკლესიაში მიანდობს მას: იგი იქნება "კლდე", მოძმეთა რწმენის ურყევი საყრდენი. იესოს გულში შენთვისაც მოიძებნება ახალი სახელი: ხომ არ გქონია მისი აღმოჩენის ბედნიერება?

5 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

2023 ხუთშაბათი

1იო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

მიუგო მას ფილიპემ:
"წამოდი და ნახე" იო 1,46

მეც ვიხილე, იესო, შენი სამყოფელი. იქ, მოყვასებს ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთისთვის ცხოვრობენ, შენ მათი უფალი და მოძღვარი ხარ. დღენიადაგ ისმენენ მოციქულთა სწავლებას, პურის გატეხვაში და ლოცვაში იმყოფებიან. ერთობაში ცხოვრობენ შენი სიყვარულით და ყველაფერი საერთო აქვთ.

6 იანვარი

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

2023

პარასკევი

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

ვარკვლავი წინ უძღოდა მათ მთ 2,9

ამ ლამაზ და დიდ დღესასწაულში ყოველივე სინათლეზე გვესაუბრება: ღამით გაბრწყინებული მკრთალი სინათლე, ჭეშმარიტ სინათლეს – იესოს გაანათებს. მადლობა, სულო წმიდაო, რამეთუ მუდამ ახალი გზებით წარმართავ კაცთა გულებს იესოსაკენ: ეს დიდებული და შეუდარებელია. მეც ვცდილობ, ვინმეს ვუჩვენო შენსკენ სავალი გზა!

7 იანვარი

2023

შობის II კვირა, [ს], თ

წმ. ხაიმუნდე პენიაფორტელი, მღვ. +1275

შაბათი

1იო 3,22-4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

დიდძალი ხალხი მისდევდა მას მთ 4,25

“დიდძალი ბრბო მისდევდა უკან”, რადგანაც იესოში დაინახეს დიდი სინათლე თავიანთი ტანჯვისა და უიმედობის ბნელეთში: იმედის ნათელი, რამეთუ მასში შეიგრძნეს ღვთისნიერი სიყვარული. განგიცდია ეს ყოველივე? თუკი დღეს გონებას მოვიკირიბავ, მეც შევიგრძნობ ამას.

8 იანვარი

უფლის ნათლისღება «ა», დ, [ს], თ

2023 ოთხშაბათი

ეს 42,1-4.6-7; ფს 28; საქ 10,34-38; მთ 3,13-17

იხილა ღვთის სული,
მასზე რომ ეშვებოდა მთ 3,16

იესო ახალი გამოსული იყო ნათლობის წყლიდან: უფალი დამცირდა, თავის თავზე აიღო ჩვენი ცოდვა. მამაც არ აყოვნებს: ზეცას განაპობს და თავისი სიყვარულით – სულიწმიდით აღავსებს იესოს. როდესაც უხმოდ ატარებდი შენი ძმის ცოდვას, ნუთუ არ განგიცდია შენი ზეციერი მამის სიხარული? შენს სულშიც დაისადგურა სულიწმიდამ.

9 იანვარი

2023

რიგითი I კვირა [I], მწ – კენტი წელიწადი

(27. XII) ღიჩსი სტეფანე ხიჩსეიი,
13 ასუჩეე მამათაგანი (VIს)

ორშაბათი

ებრ 1,1-6; ფს 96; მარკ 1,14-20

ადამიანთა მებადურებად გაგხდით მარ 1,17

წმიდა ტერეზა კალკუტელი თვლიდა,
რომ იგი ღვთის ხელებში მოქცეული
პატარა ფანქარი იყო: სწორედ მან
შექმნა ეს უმშვენიერესი ნახატი!
საწყალი და ღარიბი მებადურების
სახით მოახდინა დიდებული საქმენი
კაცობრიობის სახსნელად.
შენც ძვირფასი ხარ ღვთის ხელებში:
ის შენგან მოელის მზადყოფნას.

10 იანვარი

2023

სამშაბათი

ებრ 2,5-12; ფს 8; მარკ 1,21-28

გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით

მარ 1,22

იესოს სწავლება ჩვენი გულის სიმებს არხევს, რამეთუ მამა ღმერთის სიყვარულს ამჟღავნებს. ამას მხოლოდ სიტყვებით როდი გვიმჟღავნებს, თავის მაცხოვნებელ, დამხსნელ ძალას გვაგრძნობინებს.

მადლობა, იესო! შენი სიტყვა გვიცხადებს შენს სიყვარულს და გვიხსნის მრავალი ტვირთისა და მონობისგან.

11 იანვარი

2023 ოთხშაბათი

ებრ 2,14-18; ფს 104; მარკ 1,29-39

დადიოდა... ქადაგებდა მათ სინაგოგებში
და ეშმაკებს დევნიდა მარ 1,39

იესო, ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ასრულებ შენს მისიას. ეს მისია შენი ლოცვით გაჯერებულა და მამასთან ადამიანთა შეხვედრას გულისხმობს. მას შენი სიტყვით ასხამ ხორცს, რომელიც მტრისაგან თავდახსნას გულისხმობს, ოდითგანვე რომ ცდილობს სიცოცხლისა და სიხარულის მოსპობას.
დაე, მეც ვბაძავდე ჩემი მცირედი საქმეებით მამისა და მოყვასთა მიმართ შენს თავდადებას!

12 იანვარი

2023 ხუთშაბათი

ებრ 3,7-14; ფს 94; მარკ 1,40-45

მსურს, განიწმინდე! მარ 1,41

ასე უპასუხა იესომ კეთროვანს, მის წინაშე რომ დაიჩოქა და შეთხოვა: "თუ გინდა, გამწმინდე მე!" ეს სიტყვები საოცარ სიმშვიდეს მგვრის, რამეთუ ნათლად მაჩვენებს იესოს სიყვარულს, მის ნებას - გადაარჩინოს ყოველი კაცი. იესოს დღესაც მხოლოდ სიკეთე სურს ჩემთვის; მივუახლოვდები მას, რომ მომიტევოს და გამწმინდოს.

13 იანვარი

2023

რიგითი I კვირა [I], მწ

(31.XII) წმ. ღიჩსი დედა საბაია, აბადესა (Xს); წმ. იდახიონი, ეპ. და ეკდ. მოძღ., +367

პარასკევი

ებრ 4,1-5.11; ფს 77; მარკ 2,1-12

იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

მაშ, ვეცადოთ, შევიდეთ იმ სიმშვიდეში

ებრ 4,11

ვის არ გამოუცდია ჯაფა და დაღლა? იესო ამბობს: “მოდით თქვენ, ყოველ-ნო... მე აღგადგენთ”. მაშ, წავიდეთ იესოსთან, მივიყვანოთ მასთან ჩვენი პატარები, რათა მათაც ისწავლონ სიცო-ცხლის და მშვიდობის გზა, და მივიღოთ მისი წყალობა, ეკლესიის წმიდა საიდუმ-ლოებები: ეს ჩვენ უდადოდ გვჭირდება.

14 იანვარი

2023 შაბათი

ებრ 4,12-16; ფს 18; მარკ 2,13-17

მარ̃თალთა კი არ̃ა, ცოდვილთა
მოსახსმობ̃ად მოვედი მარ 2,17

ცოდვილად მიმაჩნია თავი? ცოდვილად
მიგაჩნია თავი? ასეც არის. იესო სწო-
რედ ჩვენთვის მოვიდა და ამას თავადაც
ამბობს. ამრიგად, არავინ, არც შიგნიდან
და არც გარედან, თავს არ უნდა იკავებ-
დეს: წავიდეთ მასთან, მხოლოდ მასთან,
მარადის!
რაგინდ ბინძურნი და უშნონი ვიყოთ, ის
მაინც გულში ჩაგვიკრავს, რამეთუ ვუყ-
ვარვართ, მარადის!

15 იანვარი

რიგითი II კვირადღე, «ა», [II], მწ

2023 კვირა

ეს 49,3.5-6; ფს 39; 1კორ 1,1-3; იო1,29-34

დავამოწმე, რომ ეს არის ძე ღვთისა იო 1,34

ყოველი ქრისტიანის ვალია
დაამოწმოს იესო, ეს ჩემი ვალიცაა.
დღეს ჩემი მოწმობა წირვაში ჩემი მო-
ნაწილეობაა: ამით ვამოწმებ, რომ იესო
ცოცხლობს და ეკლესიაში იმყოფება,
რომ ის არის ჩემი ცხოვრების წყარო,
ჩემი შრომის და გარჯის საძირკველი,
ცენტრი, რომელიც ყველა ჩემს ნაბიჯს
წარმართავს, ის არის ჩემი უფალი და
მაცხოვარი.

16 იანვარი

2023

ორშაბათი

ებრ 5,1-10; ფს 109; მარკ 2,18-22

და თუმცა ძე იყო...
ისწავლა მორჩილება ებრ 5,8

იესო, შენ მარადისობიდან ხარ "ძე"! შენი სიცოცხლე მამისეულ სიყვარულში ყოფნა და მისთვის ლაღად ნათქვამი ჰოა! განკაცებით "ისწავლე" ძეობრიობა, გაისიგრძეგანე წუთისოფელში ცოდვის მემკვიდრე ადამიანის ჯაფა. ახლა ჩვენ გამოვცდით ამ ჯაფას და შენ, იესო, შენი წყალობით შეგვეწევი და გამარჯვებას გვაგემებ. გვიყვარხარ, იესო, ჩვენო ჭეშმარიტო ძმაო!

17 იანვარი

2023

წმ. ანტონ დიდი +356 (მ), თ /
(4.I) წმ. ღიჩსნი ევაგჩე მღვიმეღი, იღია ღია-
კონი და სხვანი, მონაზონნი, VIს

სამშაბათი

ებრ 6,10-20; ფს 110; მარ 2,23-28

იესო გახდა უკუნისამდე მღვდელმთავარი მელქისედეკის წესით ებრ 6,20

მელქისედეკი ისე შეხვდა აბრაამს, როგორც მოულოდნელ და იდუმალ ძღვენს, ვინც ღმერთთან ურთიერთობაში დაეხმარა. ასე გვებოძა ჩვენც იესო: დიდი მღვდელმთავარი, ვინც გვეხმარება მამასთან ძეობრივი ურთიერთობის გაღვივებაში.

18 იანვარი

2023 ოთხშაბათი

ებრ 7,1-3.15-17; ფს 109; მარკ 3,1-6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

და იმ კაცს თუთხრა: "გაიწოდე ხელი!"

მარ 3,5

ნამდვილი სიყვარულის ჟესტი ყოველ-
თვის მსხვერპლს მოითხოვს! შეხედე
იესოს: რაკიღა წმიდა საღვთო დღეს,
ხელი განუკურნა ერთ საწყალს, მოკვ-
ლას უპირებენ!
ლოცვის კვირეული ქრისტიანთა ერთო-
ბისათვის: მეც მზად ვიქნები თავი და-
ვდო ერთობისათვის, უწინარესად,
შევეცდები ჩემს გვერდით მყოფთან
ვეძებო ერთობა.

19 იანვარი

2023 ხუთშაბათი

ებრ 7,25 - 8,6; ფს 39; მარკ 3,7-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
უფლის ნათლისღება საქ. მართლ. ეკლესიაში

მკაცრად უბრძანებდა მათ,
რათა არ გაემჟღავნებინათ იგი მარ 3,12

ბოროტი სულნი როდი გაჰყვიროდნენ, რომ
იესო ღვთის ძე იყო, იმისათვის, რომ სმე-
ნელებში რწმენა აღეძრათ. მათ ყვირილში
რისხვა გამოსჭვიოდა და არა სიყვარული.
ხოლო იესო, თავის ღვთაებრიობას სიყვა-
რულით გამოხატავს, თავგანწირული სიყვა-
რულით. ამ სიყვარულის მნახველმა, ჯვრის
ფერხთით მდგომმა ასისთავმა, ირწმუნა,
რომ იესო ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო.
თუკი ჩემს სიტყვებში სიყვარული არ გამო-
სჭვივის, მაშინ უფალს შეუარცხოფენ ისინი.

20 იანვარი

2023

რიგითი II კვირა [II], მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამ. IIIს
წმ. სებასტიანე, წამ., +~304

პარასკევი

ებრ 8,6-13; ფს 84; მარ 3,13-19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

თორმეტი ამოირჩია, რომ
მასთან ერთად ყოფილიყვნენ მარკ 3,14

თორმეტის უპირველესი დავალება შენს გვერდით ყოფნაა, იესო! რა დიდებული დავალებაა! რამხელა პასუხისმგებლობაა! ჩემთვისაც, შენთვისაც – ეს პირველი დავალებაა! დღეს მას განსაკუთრებული სიყვარულით განვიცდით, რამეთუ ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის კვირეულს ვუძღვნით.

21 იანვარი

2023

რიგითი II კვირა [II]

(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ. +786 (მ), წ
წმ. აგნესა ქალწ. წამ., +304 (მ), წ

შაბათი

ებრ 9,2-3.11-14; ფს 46; მარ 3,20-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

სათუკუნო სულით შესწირა ღმერთს
თავისი უბიწო თავი ებრ 9,14

მადლობა იესო, რამეთუ სისხლი და-
ღვარე ჩემთვის, ჩემი ცოდვების გამო-
სასყიდად. მადლობა, რამეთუ მხოლოდ
შენ, ერთადერთმა უცოდველმა, ყოველი
ცოდვილი იხსენი. მადლობა იესო, რამე-
თუ სულიწმიდით აღძრულმა, შენი და
მამის ღვთაებრივი სიყვარულით ინებე
ამის აღსრულება.

22 იანვარი

რიგითი III კვირადღე, «ა», [III], მწ

ღვთის სიტყვის კვირადღე

2023

ჯვირა

ეს 8,23-9,3; ფს 26; 1კორ 1,10-13.17; მთ 4,12-23

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

მათ მყისვე მიატოვეს ნავიც და მამაც
და გაყვნენ მას მთ 4,22

იესომ ახლახან დატოვა მშობლიური ნაზარეთი: და აჰა, პირველი მოწაფეები უკან გაყვნენ, ტოვებენ მამას და თავიანთ საქმეს... ჩვენც „ვტოვებთ“ ჩვენს რაღაც ნაწილს, სიხარულით, ოღონდაც ზეციური მამის სინათლე და სიყვარული მოვიტანოთ! მისი ძვირფასი სიტყვა რწმენას გვმატებს. ასე შევიტანთ ჩვენს ნამდვილ წვლილს ქრისტიანთა ერთობისთვის ლოცვაში.

23 იანვარი

2023

რიგითი III კვირა [III]

ორშაბათი

ებრ 9,15.24-28; ფს 97; მარ 3,22-30

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ვინც სულიწმიდას დაგმობს,
მას აღარასოდეს მიეტევება მარკ 3,29

სწორედ ასეა! მას მერე, რაც იესოს სიყვარულს შევიცნობთ, ვის ძალუძს სულიწმიდის გმობით უარყოს იგი, ვისგან მიიღებს შენდობას? „სხვაში არავისშია ხსნა და არც არის ცის ქვეშ ხალხისთვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით“.

24 იანვარი

2023

რიგითი III კვირა [III]

წმ. ფრანცისკე დე სალი,
ეპ. და ეკლ. მოძღვ., +1622, (მ), თ

სამშაბათი

ებრ 10,1-10; ფს 39; მარ 3,31-35

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

აჭა, ჩემი დედა და ჩემი ძმები! მარკ 3,34

იესოს სიყვარულით სავსე მზერა ისევ ჩვენზეა. დაე, მისი ეკლესიის ერთობისთვის ლოცვა, რასაც ამ დღეებში აღვავლენთ, ერთ ნამდვილ ოჯახად შეგვაცნობდეს თავს, რომელიც მასთან და მის ყოვლადწმიდა დედასთან ერთად, ხორცს ასხამს მამის სიყვარულს, ყოველი კაცის ხსნას.
წმინდაო ფრანცისკე სალელო, შეგვეწიე შენი მაგალითითა და შენი ლოცვით.

25 იანვარი

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

2023 ოთხშაბათი

საქმ 22,3-16 ან საქმ 9,1-22; ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის
დასასრული
არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

თუნდაც რაიმე სასიკვდილო შესვან,
არ ავნებთ მარ 16,18

იესოს სიყვარულით შეპყრობილი წმინდა პავლე ყველაზე მეტად იმაზე სწუხს, თუ როგორ აუწყოს იგი მოყვასებს, რის გამოც დიდ საფრთხეებს და წინაღობებს აწყდება. იესოს სიყვარული იცავდა მას! მუდამ ილოცე ჩვენთვის, წმინდაო პავლე, დღეს, განსაკუთრებით იმ ერთობის მოწმეობის მიზნით, რაც ასე სწადია თავის წმინდა ეკლესიიდან!

26 იანვარი

2023

რიგითი III კვირა [III]

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპ. I ს. (მ), [ს], თ

ხუთშაბათი

2ტიმ 1,1-8, ან, ტიტ 1,1-5; ფს 95; ლკ 10,1-9

წადით: აჰა, გაგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის ლკ 10,3

ისინი, ვინც იესოს დამოწმების და უწყების ჟამს გვიმხედრდებიან, მგლებივით იქცევიან, მაგრამ, მე თავად ბატკანი ვარ? თავისთავად ასე ვერ იქნება, რადგან ზოგჯერ, მე შეიძლება მგელივით უფრო ვიქცეოდე, ვიდრე ღვთის კრავის მოწაფესავით. წმიდაო ტიმოთე და ტიტე, თქვენი თავგანწირული ცხოვრებით დაამოწმეთ იესო, ილოცეთ ჩემი დღევანდელი მოწმეობისთვის.

27 იანვარი

2023

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ
წმ. ანჯელა მეხიჩი, ქაღწუღი +1540

პარასკევი

დაბ 12,1–7; ფს 95; 1კორ 1,26–31; მარ 16,15–20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

თავის მოწაფეებს კი ცალკე განუმარტავდა ყველაფერს მარ 4,34

იესო მზად არის, ყველაფერი განგვიმარტოს: მეც, შენც... ის სულიწმიდის მიმართ მხოლოდ ჩვენი გულების გაღვივებას ელის; მისი სიტყვა იმიტომ გვებოძა, რომ ჩვენი ცხოვრება სიყვარულად ვაქციოთ.

28 იანვარი

2023

რიგითი III კვირა [III]
წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ., +1274(მ), თ;
(15.I) წმმ. საღომეუჯახმეეიდაპეჭოჟავჰ სივნიეღი, IVს
წმ. ახჩიღ მეფე, წამებული, +774

შაბათი

ებრ 11,1-2.8-19; საგალ. ლკ 1,68-75; მარკ 4,35-41

ისე წავიდა, რომ არ იცოდა,
სად მიდიოდა ებრ 11,8

ჩვენი ზეციერი მამა, სიცოცხლისმომ-
ნიჭებელი, დღესაც მიგვავლენს: იმ
შეხვედრებზე, რომლებიც გველიან, იმ
მისიაში, რომლებსაც შევასრულებთ, იმ
გასაჭირში, რასაც გადავიტანთ... ყვე-
ლაფერი როდი ვიცით, მაგრამ მაინც
ნდობითა და სიხარულით მივეშურებით,
რამეთუ უფალი ჩვენთანაა!

29 იანვარი

რიგითი ჟამის IV კვირადღე, «ა», [IV], მწ

2023 კვირა

სოფ 2,3;3,12-13; ფს 145; 1კორ 1,26-31; მთ 5,1-12

იხარ̃ეთ და იმხიარ̃თულ̃ეთ, ვინაიდან
დიდია თქ̃ვენი საზ̃ღ̃ათურ̃ი ცაშ̃ი მთ 5,12

იესო, შენ „გვიბრძანებ“, რომ ვხარობ-
დეთ, როცა შენს გზაზე განსაცდელს
ვხვდებით. შენ უწყი, რომ სამშობლოში,
და უკვე აქ, დედამიწაზე, “დიდი” საზღა-
ური გველის.
მე მჯერა შენი დაპირების, იესო, და ამი-
ტომაც ვხარობ ტანჯვის ჟამს!

30 იანვარი

2023 ორშაბათი

ებრ 11,32-40; ფს 30; მარკ 5,1-20

გამოაცხადა.... რაც გაუკეთა მას იესომ
მარ 5,20

იესო, შენ ჩემშიც მოახდინე სასწაული: ყველანაირი შემიყვარე, გლახაკი თუ ბედკრული, გზააბნეული თუ მწუხარე; საუკუნო სიკვდილისაგან გამოსახსნელად ჯვარს ეცვი ჩემთვის; თვალები ამიხილე, რათა წუთისოფლის სიბნელეში შევძლო შენი დანახვა. მინდა ყველას ვახარო, რომ შენ ისინი გიყვარს!

31 იანვარი

2023

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. იოანე ბოსკო, მღვ., +1888,
სალელთა კონგრეგაციის დამაარსებელი (მ) თ
(18.I) წმ. ღირსი ეფთემ მცირე, +1101

სამშაბათი

ებრ 12,1-4; ფს 21; მარკ 5,21-43

სალელთა კონგრეგაციის დღესასწაული

წადი მშვიდობით და მორჩენილი ხარ შენი სენისაგან მარ 5,34

ტანჯული ქალის მსგავსად ვიკვლევთ გზას ბრბოში და იესოს ვუახლოვდებით. ცოტახნით ვაყოვნებთ სვლას – ვაყოვნებთ ფიქრებს, საზრუნავს, შრომას... – და მის ფერხთით ვეცემით. ცოტა ხნით მისი ალერსიანი სიყვარულით და მისი თვალების შუქით ვტკბებით. შემდგომ, ის თავად მიგვავლენს ჩვენს „მისიაში“, განახლებული და ნაყოფიერი სიმშვიდით.